



„ინფორმაცია დაქირავებული პირების შესახებ, რომლებსაც აქვს კომპენსაციის მიღების უფლება“ განცხადების წარმოდგენისთვის მიყევით შემდეგ ნაბიჯებს:


1. შემოსავლების სამსახურის ელექტრონული სერვისების გვერდზე <https://eservices.rs.ge> გაიარეთ ავტორიზაცია მომხმარებლისა და პაროლის მითითებით




2. დააჭირეთ ღილაკს „აპლიკაციების მენიუ“




გამოტანილი აპლიკაციებიდან მოძებნეთ ჩანართი „დოკუმენტაცია“ და დააჭირეთ „განცხადებების“ აპლიკაციას




3. დააწექით ლილავს „ახალი განცხადების რეგისტრაცია“




4. გამოტანილ ფანჯარაში, საძიებო ველში ჩაწერეთ სიტყვა „კომპენსაციის“, რის შემდეგაც სისტემა გამოიტანს შესაბამის განცხადებას



5. აირჩიეთ განცხადება „ინფორმაცია დაქირავებული პირების შესახებ, რომელსაც აქვს კომპენსაციის მიღების უფლება“, რის შემდეგაც გადახვალთ განცხადების ფორმაზე. შეავსეთ აღნიშნული განცხადების ველები, გაითვალისწინეთ, რომ ყველა ველის შევსება სავალდებულოა. გრაფების შევსების შემდეგ დააწეკით ღილაკს „გაგზავნა“.



გაითვალისწინეთ!!! სავალდებულო გრაფების შევსების შემდეგ აუცილებლად დააწეკით ღილაკს 

გთხოვთ, ტელეფონის ნომრის მითითებისას გაითვალისწინოთ, რომ აღნიშნულ საკონტაქტო მობილური ტელეფონის ნომერზე დაქირავებული ფიზიკური პირი მიიღებს ინფორმაციას კომპენსაციის მიღების თაობაზე, საქართველოს მთავრობის დადგენილების N 288 კორონავირუსით (SARS-COV-2) გამოწვეული ინფექციის (COVID-19) შედეგად მიყენებული ზიანის შემსუბუქების მიზნობრივი სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ მე-2 მუხლის 1-ლი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად.

**გრაფაში „სადაზღვევო პრემია“** გთხოვთ, მიუთითოთ სსკ-ის 101-ე მუხლის მე-2 ნაწილის „თ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული თანხა (დამქირავებლის მიერ დაქირავებულისათვის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დაზღვევის შემთხვევაში ან საპენსიო დაზღვევის ხელშეკრულების მიხედვით სადაზღვევო პრემიის ან სხვა თანხის გადახდისას – დამქირავებლის მიერ გადახდილი სადაზღვევო პრემიის ან სხვა თანხის მოცულობა).

ასევე, გთხოვთ გაითვალისწინოთ, „სადაზღვევო პრემიის“ გრაფის სწორედ შევსება მნიშვნელოვანია დასაქმებულთათვის კომპენსაციის გაცემის პირობების დასაკმაყოფილებლად!!

თქვენ მიერ რეგისტრირებული განცხადებების ნახვა შეგიძლიათ **„განცხადებები“**-ს მოდულში.

სტატუსი	განცხადება	განცხადების №	რეგ. თარიღი	მასუბის თარიღი
ვერსა			02-აპ-20 / 03-მა-20	___/___/___
განიილება	დავალიანების ჩამორჩენა სსკ 309-ე მუხლის 37-ე ნაწილის შესა	ID 7815779 / 2834776	02-მაი-2020 03:05:18	
განიილება	მცირე ბიზნესის სტატუსის მინიჭება	ID 7815439 / 2714419	01-მაი-2020 18:08:22	
დაფიქსირებული	(შემკორმება) მოგების (სამშრომასველი) გადასახადის მიმდინარე	ID 7814936 / 3138353	01-მაი-2020 15:55:47	01-მაი-2020 15:55:49
განიილება	ფიზიკური პირის შემოსავლების შესახებ ინფორმაციის მოთხოვნა	ID 7814372 / 3339945	01-მაი-2020 14:08:42	
განიილება	ფიზიკური პირის შემოსავლების შესახებ ინფორმაციის მოთხოვნა	ID 7814364 / 2750083	01-მაი-2020 14:07:30	
განიილება	ფიზიკური პირის შემოსავლების შესახებ ინფორმაციის მოთხოვნა	ID 7813898 / 2739419	01-მაი-2020 12:33:54	
განიილება	მცირე ბიზნესის სტატუსის მინიჭება	ID 7813513 / 3187163	01-მაი-2020 11:25:19	
დაფიქსირებული	საღარი აპარატიდან შეცოლოთ ამორტდმული შეტას კორექტირება	ID 7811354 / 2757297	30-აპ-2020 14:06:19	30-აპ-2020 14:06:47
უარყოფითი	მცირე ბიზნესის სტატუსის მინიჭება	ID 7810476 / 3440207	30-აპ-2020 11:16:53	30-აპ-2020 14:22:45
განიილება	(ალდგება) მოგების (სამშრომასველი) გადასახადის შემკორმებული	ID 7810412 / 2484130	30-აპ-2020 11:04:29	

ასევე, განცხადების სტატუსის გადამოწმება, მინიჭებული ID და შტრიხკოდის ნომრის მიხედვით შეგიძლიათ პირდაპირ შემოსავლების სამსახურის გვერდიდან ბმულზე: [www.rs.ge/searchapp](http://www.rs.ge/searchapp)